

ს. ს. რ. განათლების კომისარიატს
კანდელაკს.

მოგეხსენებათ რომ ქ. პარიზში, 1925 წელს მაისში უნდა გაიხსნეს ინტერნაციონალური გამოფენა დეკორატიული მოდერ-ნისტული ხელოვნებისა. სადაც თანამედროვე დეკორატიული ხელოვნების სახე ყოველი ხალხის მიღწევის დონეთი იქნება წარმოდგენილი. მოგეხსენებათ ისიც, რომ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი ამ გამოფენაზე მიწვეულია და რომ კავშირი დასთანხმდა მონაწილეობის მიღებაზე. ამასთანავე ცხადია, რომ ამიერკავკასიის საბჭ. რესპუბლიკას, როგორც კავშირის ერთ წევრს, უფლება ექნება გამოფენაზე მონაწილეობის მიღებისა.

გამოფენის მეტად დიდ მნიშვნელობის თვალთ აზრით სასურველია, რომ ამიერ კავკასიის მონაწილეობა შესაფერისი იყოს. თუ როგორი სახით შეუძლია მონაწილეობის მიღება საქართველოს და საზოგადოთ ამიერკავკასიას ამ გამოფენაზე, ამის მხოლოდ ადგილობრივ გამორკვევა შეიძლება, ამიტომ მე გადაჭრით არაფრის თქმა არ შემიძლია. მხოლოდ ვატყობინებთ რომ პირადი ჩემი

შრომის დეკორატიული ნაწარმოებით, რომელიც პარიზში მაქვს, სრული სარგებლობა შევიძლიათ საქართველოს თუ ამიერკავკასიის სექციის მოწყობაში. აქ არ შეუდგები დაწვრილებით აღწერას ჩემი გეგმისა, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ პარიზის არა ერთ მოდერნისტულ დეკორატიულ გამოფენაზე ვყოფილვარ მიწვეული. ჩემი სურვილია, რომ თუ ამიერკავკასიის სექციის მოწყობა მოსახერხებელი შეიქმნა, საქიროა რომ ის სათანადოდ წარმოდგენილ იყოს და ამიტომ ყოველგვარ დახმარებას გავუწევ ამ საქმეს ჩემი ცოდნით და ნაწარმოებით. ამასთანავე ვინაიდგან ადგილობრივი პირობებს მე კარგად ვიცნობ, გამოვთქვამ სურვილს რომ დაგეხმაროთ ყოველგვარ საორგანიზაციო საქმეშიც. თუ სექციის მოწყობა გადაწყდა, უნდა იქნეს მხედველობაში ისიც მიღებული, რომ გამოფენის მოწყობისათვის ძლიერ ცოტა დრო დარჩა და საორგანიზაციო საქმე უნდა დაჩქარდეს.

* * *

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის
სახალხო განათლების კომისარიატს

ამით მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ მე თავის დროზედ მივიღე დებემა თქვენ მიერ გამოგზავნილი ტფილისიდან 3 ნოემბერს 1922 წ., რითაც მატყობინებდით რომ მე ჩამოვსულიყავი ტფილისს სამხატვრო აკადემიისათვის და ამასთანავე სამგზავრო ხარჯისათვის 50 გირვ. სტერლინგს მიგზავნიდით. აღნიშნული 50 გირვ. სტერლინგი მე მივიღე „ჩემო“-ს საზოგადოების წარმომადგენლისაგან ჯაყელისაგან დეკემბრის დამლევს 1922 წ. ამ ფულის მიღებისთანავე საქართველოში დაბრუნება მე ვერ მოვახერხე, ვინაიდგან ამას ჩემი მდგომარეობა ხელს არ უწყობდა. როგორც მოგეხსენებათ ჩემი საფრანგეთში წამოსვლის მიზანი იყო მხატვრული საქმის შესწავლა. იმ ხნის განმავლობაში, როდესაც საქართველოს ყოფილი მთავრობა მე დახმარებას სტიპენდიის სახით მაძლევდა (1921 წ. აგვისტომდე) მე სისტემატიურად ვმუშაობდი მხატვრობაში. ყოველგვარი დახმარების მოსპობის შემდეგ (აგვისტოდან 1921 წ.) მხატვრული მეცადინეობა უეცრად შევწყვიტე და მთელი ჩემი ღონე კი იყო მიმართული იმისაკენ რომ კერძო მუშაობით თავი დამერჩინა. დღემდის, თითქმის ავერ ორი წელიწადია,

ვარ ამნაირ მდგომარეობაში და ჩემი მხატვრულ საქმის ერთხელ შეწყვეტილს დამთავრება ვერ მოეახერხე. დამრჩა შეუსწავლელი მხატვრობის ზოგიერთი უმთავრესი საკითხები, რომლის არ შესწავლა უფარვისობაა. ამ რიგათ დღემდის ვერ დავამთავრე ეს მუშაობა დროის და შეძლების უქონლობის გამო. დაუმთავრებელ სწავლით კი საქართველოში დაბრუნება არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. ყველა ამ მიზეზების მიხედვით ფულის მიღებისთანავე საქართველოში ვერ წამოვედი. ამასთანავე ყოველივე დონეს ეხმარობ, რომ სამხატვრო მუშაობა დავამთავრო და რასაკვირველია მაშინათვე საქართველოსაკენ გამოვემგზავრები. 50 გირ. სტერლინგი მე ხელუხლებლად ვინახამ, როგორც გზის ფულს. თუ როგორ საშუალებას ვიშოვი იმის მიხედვით დამკვირდება დროც სწავლის დასამთავრებლად და ამის შემდეგ ამ ფულსაც თავის დანიშნულებიანებრ — საქართველოში დასაბრუნებლად — მოვიხმარ. თუკი განათლების კომისარიატი სცნობს ამ ჩემს მოსაზრებებს მიუსაღებლად, მე ვალდებულად ვთვლი ჩემს თავს დავაბრუნო 50 გირ. სტერლინგი ჩემს მიერ მიღებულად.

დავით კაკაბაძე
პარიზი

• • •
ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საზოგადოების
პრეზიდიუმს (50 გირ. სტ.)
და ჭიათურის „ჩემოს“ (100 გირ. სტ.)

პარიზში მყოფ ქართველ მხატვრებს განზრახული გვაქვს გავმართოთ ამ გაზაფხულს პარიზში ჩვენი სურათების საერთო გამოფენა. ზედმეტია აღვნიშნოთ ის დიდი მნიშვნელობა ქართულ კულტურისათვის, რაც ასეთ გამოსვლას უცხოეთში აქვს და რომლის საუკეთესო მაგალითია ის 1921 წელს გამართული საერთო გამოფენა, რომლითაც პირველად მოხდა უცხოეთში ქართულ ახალ მხატვრობის მანიფესტაცია. ესლა განზრახული გამოფენის მოწყობისათვის საჭირო თანხა გვინდოდა ჩვენივე საშუალებით გამოგვენახა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა და ამიტომ გამოფენის მოწყობა არაერთხელ გადადებულა. საბოლოოდ კი სჩანს, რომ თუ საიდანმე მატერიალური დახმარება არ მივიღეთ, გამოფენის მოწყობა შეუძლებელი ხდება, მაგრამ ჩვენ მაინც არ ვკარგავთ იმედს და მოგ-

მართავთ თქვენ დახმარებისათვის, იმ იმედით რომ ცნობილ თქვენ ყურადღებას ქართულ კულტურულ საქმისათვის ჩვენც არ მოგვაცლებთ ამ გამოფენის მოწყობისათვის. მოგმართავთ თხოვნით, რომ აღმოგვიჩინოთ დახმარება 50 გირვანქა სტერლინგით, რითაც ჩვენც დიდად დავალებული ვიქნებით.

P. S

უნდა აღვნიშნოთ, რომ ვინაიდან გამოფენის მოწყობა გაზაფხულში უნდა მოხდეს (ზაფხულში მოწყობას კი უკვე თავის მნიშვნელობა ეკარგება), გაზაფხულამდე კი ერთ-ორი თველა დარჩა, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ ეს ჩვენი თხოვნა რაც შეიძლება მალე განიხილოთ.